ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. შ., ე. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.09.17

საჩივრის რეგისტრაციისნომერი: №071/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 08 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ა. და ე. შ.-ებმა და მოითხოვეს ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 16 თებერვალს ე. შ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის ე. შ.-ის განცხადებით, 2001 წლიდან მას დაკავებული ჰქონდა საცხოვრებელი ფართი, რომელიც ირიცხებოდა ბ. კ.-ს სახელზე და ეს ფართი ბ. კ.-მ დაუთმო მის ოჯახს შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, რის შემდეგაც ე. შ. თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა აღნიშნულ ფართში, თუმცა საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლება ვერ დაირეგისტრირა. ე. შ.-ის განმარტებით, 2009 წელს მის მეუღლეს - ა. შ.-ს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, რის გამოც მათ გადაწყვიტეს გაეყიდათ თავიანთი საცხოვრებელი ბინა ან მიემართათ ბანკისთვის და სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაეტვირთათ უძრავი ქონება.

1.3 2009 წლის დეკემბრის თვეში საჩივრის ავტორმა - ე. შ.-მ თავისი მეზობლის - ე. ჩ.-ის მეშვეობით გაიცნო ადვოკატი ლ. ბ., რომელსაც სთხოვა იურიდიული დახმარება, კერძოდ, ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატი უნდა დახმარებოდა უძრავი ქონების საკუთრების უფლების დარეგისტრირებაში, იმ მიზნით, რომ საჩივრის ავტორებს შეძლებოდათ ბინის გაყიდვა ან იპოთეკური სესხის აღება. ადვოკატის სახელზე არ გაფორმებულა მინდობილობა, ასევე მხარეებს არ გაუფორმებიათ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება.

1.4 ე. შ.-ის განმარტებით, თავისი საცხოვრებელი ბინის გვერდით ასევე იდგა მისი შვილების ახლადაშენებული საცხოვრებელი სახლი, რომელზედაც ასევე არ იყო საკუთრების უფლება დარეგისტრირებული თავიანთი შვილების სახელზე. ადვოკატმა ლ. ბ.-მ ე. შ.-ს განუცხადა, რომ ის მიმართავდა არბიტრაჟს და ამის საფუძველზე ორივე საცხოვრებელ სახლს „გაუფორმებდა“. ადვოკატმა საქმის წარმოების დაწყებისათვის ჰონორარის სახით 1000 (ათასი) ლარი მოითხოვა, რაც ე. შ.-მ იმავე დღეს გადასცა. ადვოკატმა ლ. ბ.-მ საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ე. შ.-ს წარუდგინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და უთხრა, რომ „ყველაფერი გააფორმა“, თუმცა აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინის - 49 (ორმოცდაცხრა) კვ.მ დარეგისტრირდა ა. შ.-ის სახელზე, რაზეც საჩივრის ავტორებმა ადვოკატს უსაყვედურეს, თუმცა ადვოკატმა მათ განუცხადა, რომ აღნიშნული საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის საფუძველზე ისინი ბანკისგან სესხს მიიღებდნენ. ე. შ.-ის განმარტებით, მას საარბიტრაჟო პრეტენზია არ შეუდგენია და არც არბიტრი უნახავს, აღნიშნულ საქმეს მთლიანად აწარმოებდა ადვოკატი ლ. ბ..

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ მიმართეს ბანკს, რათა იპოთეკით დაეტვირთათ თავიანთი უძრავი ქონების ნაწილი, რომელიც ადვოკატმა ლ. ბ.-მ დაურეგისტრირათ, თუმცა ბანკმა უარი განუცხადა სესხის გაცემაზე, რადგან „თქვენს საცხოვრებელ სახლს მთავრობის გარანტი ადევსო“.

1.6 საჩივრის ავტორის ე. შ.-ის განმარტებით, მან ადვოკატ ლ. ბ.-ს გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება მოსთხოვა, რადგან მან მოატყუა და არ გააფორმა მათი შვილების საცხოვრებელი სახლი. ადვოკატმა ლ. ბ.-მ ე. შ.-ს უთხრა, რომ ბინის გამიჯვნის შემდეგ მოხდებოდა მისი შვილების უძრავი ქონების დარეგისტრირება.

1.7 ე. შ.-ის განცხადებით, მან ადვოკატ ლ. ბ.-ის მეშვეობით გაიცნო კერძო იპოთეკარი - ო. მ., რომელმაც იპოთეკით დატვირთა მისი 49 კვ.მ საცხოვრებელი სახლი.

1.8 2011 წელს დააპატიმრეს საჩივრის ავტორთა შვილი, რის შემდეგაც კერძო იპოთეკარმა - ო. მ.-მ მათ შესთავაზა ბინა მიეყიდათ მისთვის. საჩივრის ავტორებმა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიჰყიდეს ო. მ.-ს თავიანთი საცხოვრებელი ბინა, რომელმაც თავის მხრივ, ბინა მიჰყიდა ნ. ჭ.-ს, რის შემდგეგაც, საჩივრის ავტორებთან სახლში მივიდა ნ. ჭ. და განუცხადა, რომ

მას ეკუთვნოდა, როგორც ე. და ა. შ.-ების, ასევე, მათი შვილების იმავე ეზოში მდებარე ახლადაშენებული საცხოვრებელი ფართი.

1.9 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ.-მ, რომელსაც მათი ინტერესები უნდა დაეცვა და ახლადაშენებული ბინის დარეგისტრირებაში დახმარებოდა, მათ წინააღმდეგ იმოქმედა. კერძოდ, ადვოკატი ლ. ბ., რომელიც მათ საადვოკატო მომსახურებას უწევდა საცხოვრებელი ფართის დარეგისტრირების საქმეზე, ამავე უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხზე სხვა პირს გაუწია საადვოკატო მომსახურება. საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატ ლ. ბ.-ის ქმედებების შედეგად მათ მიადგათ ზიანი და დაკარგეს საცხოვრებელი სახლი.

1.10 საჩივრის ავტორ ე. შ.-ის განცხადებით, ამჟამად საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით, რომლითაც თავისი შვილები წლების მანძილზე სარგებლობდნენ, მიმდინარეობს სასამართლო დავა. საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ლ. ბ. აღიარებს, რომ მან იცოდა რომელი საცხოვრებელი ფართი ჰქონდათ დაკავებული ე. და ა. შ.-ებს, რომელიც უსამართლოდ დაირეგისტრირა თავის საკუთრებად სხვა პიროვნებამ, ამიშ შემდეგ ადვოკატის მიმართა მათ პრეტენზია აღარ ექნებათ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ბ.-მ 2017 წლის 20 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 22 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ლ. ბ.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, დაახლოებით რვა-ცხრა წლის უკან მას მიმართა არა ე. შ.-მ, არამედ მისმა მეზობელმა - ე. ჩ.-მ, რომელმაც ადვოკატს უთხრა, რომ ის და მისი მეზობელი - ე. შ. "ბინებს ვერ იფორმებდნენ". ადვოკატმა ლ. ბ.-მ ე. ჩ.-ს ურჩია, მიემართათ საარბიტრაჟოსთვის. ე. შ.-მ და ე. ჩ.-მ შეძლეს თავიანთ ბინებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაფორმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე. ადვოკატის განმარტებით, ერთი წლის გასვლის შემდეგ, მას შეხვდა ე. შ.-ის შვილი და უთხრა, რომ ვერ ახერხებდნენ თავიანთი ქონების იპოთეკით დატვირთვას ბანკის მიერ, რის შემდეგაც ლ. ბ.-ის კოლეგამ ურჩია მიემართათ კერძო იპოთეკარებისთვის და მისცა მათი კოორდინატები.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორთა უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შემდგომ მან თავი აარიდა ჩარეულიყო მათ საქმეში. ადვოკატმა მოგვიანებით შეიტყო, რომ ა. და ე. შ.-ებმა 25 000 (ოცხდახუთი ათასი) ევროს სანაცვლოდ ბინა დაკარგეს, თუმცა ვინ შეიძინა აღნიშნული უძრავი ქონება ადვოკატისთვის უცნობი იყო.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ის არასოდეს ყოფილა საჩივრის ავტორების ბინაში და არ დაინტერესებულა მათი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორებს მისთვის ცუდი არაფერი გაუკეთებიათ და მის ინტერესესს არ წარმოადგენდა რვა-ცხრა წლის განმავლობაში ეკონტროლებინა მათი საქმე და მათთვის რაიმე ზიანი მიეყენებინა.

2.5 ადვოკატ ლ. ბ.-ს 2016 წელს მიმართა მოქალაქე ლ. რ.-მ, რომელსაც სურდა იურიდიული დახმარების მიღება მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლ. რ.-ს დედამთილს სადავო ქონება შეძენილი ჰქონდა ბ. კ.-სგან. 2017 წელს სასამართლომ სადავო ქონების ½ წილი მიაკუთნა ლ. რ.-ს შვილს და

მეორე ნახევარი კი მის გერს - გიორგი ლოლაძეს. ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებით გიორგი ლოლაძემ მიმართა საჯარო რეესტრს ქონების დარეგისტრირების მიზნით, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბ. კ.-ს ქონება უკვე რეგისტრირებული იყო ნ. ჭ.-ის სახელზე. ადვოკატის განმარტებით, მოგვიანებით მხარეები შეხვდნენ ერთმანეთს, გაეცნენ შენობების ნახაზებს და გაფორმდა მათ შორის მორიგების აქტი, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

2.6 ადვოკატ ლ. ბ.-ის განმარტებით, მან მოგვიანებით შეიტყო, რომ ა. და ე. შ.-ები გამოასახლეს ბინიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ადვოკატს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ნ. ჭ.-ის მიერ შემენილი ქონების თაობაზე მოდავე მხარეებს ა. და ე. შ.-ები წარმოადგენდნენ.

2.7 ადვოკატის განცხადებით, ის არ იყო საჩივრის ავტორთა ადვოკატი და შესაბამისად, არც იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულა მათ შორის და არ მიუღია ჰონორარი საჩივრის ავტორებისგან. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან ის არ ყოფილა საჩივრის ავტორების ადვოკატი, მას არ წაუკითხავს მათ საქმესთან დაკავშირებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, შესაბამისად, ის ვერ დაადასტურებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მან ნამდვილად იცოდა რომელი საცხოვრებელი ფართით სარგებლობდნენ ა. და ე. შ.-ები და მათი შვილები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ბ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N, სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველო სადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 ა. და ე. შ.-ებმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 08 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2009 წლიდან 2017 წლამდე. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ლ. ბ.-მ შეთანხმების მიუხედავად, არ გაუწია საჩივრის ავტორებს შესაბამისი იურიდიული მომსახურება, მათ შორის

არ დაეხმარა მათი შვილების საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების დარეგისტრირებაში და იმოქმედა მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ, რის შედეგადაც მათ დაკარგეს საცხოვრებელი სახლი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მოცემულ შემთხვევაში, იმსჯელა ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნტის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია „დაიცვას პროფესიული საიდუმლოება“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

5.3 ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის შესახებ ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური. ადვოკატი პასუხისმგებელია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვაზე არამხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების ეტაპიდან, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირს სურს მიიღოს მისი საადვოკატო მომსახურება და ადვოკატი მიიღებს ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით, რა შემთხვევაშიც ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულება და არ გაამჟღავნოს კონსულტაციის მსურველი პირის საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია.

5.4 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშრებით განმარტა, რომ „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის - ე. შ.-ის პოზიციის მიხედვით, მან 2009 წლის დეკემბრის თვეში თავისი მეზობლის - ე. ჩ.-ის მეშვეობით მიმართა ადვოკატ ლ. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით. საჩივარში აღნიშნული პოზიციის მიხედვით, ირკვევა, რომ

ადვოკატმა აწარმოა მათი საქმე, თუმცა არ გაუწია ე. და ა. შ.-ებს შეთანხმების შესაბამისად, სრულყოფილი საადვოკატო მომსახურება, მათ შორის ადვოკატმა არ აწარმოა საქმე საჩივრის ავტორის შვილების მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით და იმოქმედა მათი ინტერესების წინააღმდეგ, კერძოდ, იურიდიულ მომსახურებას უწევდა იმ პირს, რომელმაც ადვოკატის დახმარებით საკუთრებაში დაირეგისტრირა საჩივრის ავტორების მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება. ადვოკატი ლ. ბ. უარყოფს იმ გარემოებას, რომ მასთან უშუალოდ მივიდნენ ა. და ე. შ.-ები იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით და მან არ იცოდა სად ცხოვრობდნენ საჩივრის ავტორები, მათ შორის ვის სახელზე იყო აღრიცხული მათი ქონება.

5.6 ადვოკატი თავის ახსნა-განმარტებით ადასტურებს, რომ მართალია, მას უშუალოდ არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება ე. და ა. შ.-ებისთვის, მაგრამ მასთან კონსულტაციის მიღების მიზნით მივიდა საჩივრის ავტორთა მეზობელი - ე. ჩ., რომლისგანაც ადვოკატმა შეიტყო, რომ საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა უძრავ ქონებაზე საკუთრების რეგისტრაციას - სჭირდებოდა იურიდიული დახმარება, როგორც მას, ასევე საჩივრის ავტორებს. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მა საჩივრის ავტორთა საქმის თაობაზე ინფორმაცია მიიღო უშუალოდ საჩივრის ავტორთა შვილისგანაც. ადვოკატი უთითებს თავის ახსნა-განმარტებაში, რომ მას შეხვდა ე. შ.-ის შვილი, რომელმაც უთხრა, რომ ვერ ახერხებდნენ უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორები წარმოადგენენ კონსულტაციის მსურველ პირებს, ადვოკატი იცნობდა საჩივრის ავტორებს და სავარაუდოდ აძლევდა რჩევებს და შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა საჩივრის ავტორების წინაშე პროფესიული პასუხისმგებლობა - დაეცვა მათ საქმესთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

5.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, ადვოკატმა საჩივრის ავტორთა წინააღმდეგ გამოიყენა თუ არა კონფიდენციალური ინფორმაცია. ადვოკატი იცავდა ლ. რ.-ს ინტერესებს, რომელიც არ წარმოადგენდა ე. და ა. შ.-ების მოდავე მხარეს (2017 წლის 08 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება; ს.ფ. 34 2017 წლის 10 აპრილის განჩნება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ; ს.ფ. 48).

5.8 საჩივარში წარმოდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა შეთანხმების მიუხედავად არ გაუწია საჩივრის ავტორებს შესაბამისი იურიდიული მომსახურება, მათ შორის უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხზე, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის სადავოა ის გარემოება - მათ შორის არსებობდა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები იმის თაობაზე - რა იურიდიული მოქმედებები უნდა განეხორციელებინა ადვოკატს და რა არ განახორციელა. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატის ქმედბებს ეთიკური ვალდებულებების დარღვევის მხრივ, რადგან ამისათვის სახეზე უნდა იყოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ადვოკატისა და კონსულტაციის მსურველ პირთა ურთიერთობა.

5.9 საპროცესო კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30-ე მუხლით და 40-ე მუხლის პირველი პუნქტით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №071/17 ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიისწევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/